

„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული
სამსახური”

„State Hydrographic Service of Georgia”



მეზღვაურთა უწყებანი

2013 წელი

საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური



მეზღვაურთა უწყებანი

უწყება №

31

გამოშვება №01

თარიღი: 5 იანვარი 2013წ.

საზღვაო რუკები და სახელმძღვანელოები უნდა იქნეს შესწორებული მეზღვაურთა უწყებების მიხედვით.

მეზღვაურთა უწყებანი ქვეყნდება როგორც ცალკეული გამოცემა და ყოველ გამოცემას აქვს საკუთარი რიგითი ნომერი. ნუმერაცია ნარჩუნდება მუდმივად, მთლიანი კალენდრული წლის განმავლობაში.

მეზღვაურთა უწყებანის გამოცემის მიზანია: დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მეზღვაურებს მომხდარ ცვლილებებზე: როგორც სანავიგაციო ვითარებით ასევე ნაოსნობის რეჟიმში.

საზღვაო რუკებისა და ლოცის განახლებისთვის საჭიროა მეზღვაურები ინფორმირებულნი იყვნენ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ, შემდეგში;

- I. ახალი აღმოჩენილი დაბრკოლებები როგორცაა: მარჩხოები, მენჩი, კლდეები, ქეები და ასევე ვულკანური წარმონაქმნები.
 - II. ნებისმიერი ცვლილებები რუკებსა თუ სანავიგაციო სახელმძღვანელოებში.
 - III. აუცილებელი ინფორმაცია თვალსაჩინო ნიშნებისა და ობიექტების რუკებზე დასატანად და სხვა ინფორმაცია, რომელიც გაამარტივებს უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფას.
- მონაცემები და ადგილ მდებარეობა დაბრკოლებების შესახებ, რაც შეიძლება ზუსტად არის წარმოდგენილი. პუბლიკაციებზე წარგზავნისას მითითებულია პუბლიკაციის ნომერი და გამოშვების წელი. რუკებზე გეოგრაფიული კოორდინატებით წარგზავნისას მითითებულია რუკის ნომერი და გამოცემის წელი.

ინფორმაცია მეზღვაურთათვის

მეზღვაურთა უწყებებში ობიექტების ადგილმდებარეობა მოცემულია გეოგრაფიულ და პოლარულ კოორდინატებში, გრძედები მოყვანილია გრინვიჩიდან. მოყვანილი კოორდინატები შეესაბამება მსხვილმასშტაბიანი რუკების კორექტირებას. რეკომენდირებული გზების თუ კვეთების მიმართულებები ორმხრივია: პირველი ზღვის მხრიდან (პირველი კვეთის ნიშნიდან კვეთის ბოლო ნიშნამდე), მეორე ზღვის ნაპირიდან. განათების მიმართულების სექტორი მოცემულია გრადუსებში, საათის ისრის მიმართულებით. სიმაღლეები მოცემულია მეტრებში.

ბუნებრივ ობიექტთა სიმაღლეები (როგორცაა: მთები, გორაკები, ბორცვები, კლდეები და სხვა) და აგრეთვე მაშუქების სიმაღლეები, რომლებიც ატარებს სანავიგაციო დატვირთვას ათვლილია ზღვის დონიდან, რომელიც ასევე განსაზღვრავს რუკაზე მოცემულ სიმაღლეებს. ნავგობათა სიმაღლეები მოცემულია საძირკველიდან. თუ ნავგობათა სიმაღლეები მოცემულია ზღვის დონიდან ეს არის მითითებული.

მაშუქები, რომლებიც სანავიგაციო მნიშვნელობას ატარებს, მათი ნათების მანძილი განისაზღვრება საზღვაო მიღებში. სიღრმეები განისაზღვრება მეტრებში სიდიდიდან რომლებიც ამ რეგიონში ათვლის წერტილად ითვლება და განისაზღვრება როგორც მოცემული რუკის ნული.

რუკები და პუბლიკაციები გამოიცემა საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ.

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია-----	1-4
I. საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი-----	5-6
II. რუკის კორექტურა-----	7
III. სანავიგაციო მდგომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში-----	8
IV. სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა-----	9
V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა-----	10

I. საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი

რუკები					
№	მეზღვაურთა უწყებანი Notice to mariners	№	მეზღვაურთა უწყებანი Notice to mariners	№	მეზღვაურთა უწყებანი Notice to mariners
A3313	31				
RU32108	31				
GE10	31				

წიგნო

გამოცემის თარიღი Number, year of edition	მეზღვაურთა უწყებანი Notice to mariners	გამოცემის თარიღი Number, year of edition	მეზღვაურთა უწყებანი Notice to mariners	გამოცემის თარიღი Number, year of edition	მეზღვაურთა უწყებანი Notice to mariners

II. რუკების კორექტურა

შავი ზღვა, საქართველოს სანაპირო

31. რუკა №3313; GE10; RU32108;
საქართველო, შავი ზღვა

იტალიის დროშის ქვეშ მცურავი გემი „ცერტამენ-ი (Certamen) 02.01.2013-დან 15.01.2013-მდე აწარმოებს დაზიანებულ კაბელზე აღდგენით სარემონტო სამუშაოებს, 1000 მეტრის სიღრმეზე, სანაპირო ზოლიდან 25 საზღვაო მილის დაშორებით. შემდეგ კოორდინატებში:

1. $\varphi=42^{\circ} 52.0' N$
 $\lambda=40^{\circ} 02.0' E$
2. $\varphi=42^{\circ} 12.0' N$
 $\lambda=41^{\circ} 09' E$

III. CHANGES OF NAVIGATIONAL SITUATION IN GEORGIAN TERRITORIAL WATER

IV. სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა

V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა

